პროექტი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №

2026 წლის -------- ქ. თბილისი

„საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების ეროვნული კატალოგი და ეროვნული კატალოგის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 დეკემბრის №2-1038 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების ეროვნული კატალოგი და ეროვნული კატალოგის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 დეკემბრის № 2-1038 ბრძანებით (სსმ, 25/12/2018, სარეგისტრაციო კოდი: 340020000.22.023.016561) დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების ეროვნული კატალოგი და ეროვნული კატალოგის წარმოების წესის“:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ - „თ“ ქვეპუნქტები:

„დ) ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიშების პოლპულაციები და ჯიშები, რომლებიც ბუნებრივად არიან ადაპტირებული ადგილობრივ და რეგიონულ პირობებთან და გენეტიკური ეროზიის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან;

ე) საფურაჟე; მარცვლეული; შაქრის ჭარხლისა და ცხოველის საკვები ჭარხლის; სათესლე კარტოფილის და საზეთე და საბოჭკოე კულტურების ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიშები, რომლებიც ეროვნულ კატალოგში აღნიშნული უნდა იქნეს, როგორც „კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშები“;

ვ) ქვეყნის ტერიტორიაზე გამოყვანილი /მიღებული ჯიშები;

ზ)შემნარჩუნებელი, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანის ტერიტორიაზე გამოყვანილი/მიღებული ჯიშების შენარჩუნებაზე. თუ ჯიშის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელია რამდენიმე პირი, მათი შეტანა ეროვნულ კატალოგში სავალდებულო არ არის. ასეთ შემთხვევაში, ეროვნულ კატალოგში მითითებული უნდა იყოს ჯიშის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი პირების სიის მფლობელი ორგანო;

თ) კულტურის ჯიშის თესლი ან გასამრავლებელი მასალა, თუ ის ბაზარზე განთავსებულია საყოველთაოდ აღიარებული სახელწოდებისგან განსხვავებული სახელით, ეს სახელწოდება მითითებული უნდა იყოს ეროვნულ კატალოგში.“.

2. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. „კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიში“ არ რეგისტრირდება ეროვნულ კატალოგში თუ ის უკვე დარეგისტრირებულია როგორც ჯიში, რომელიც არ არის კონსერვაციისთვის განკუთვნილი და ამოღებულ იქნა ეროვნული კატალოგიდან ბოლო ორი წლის განმავლობაში.“.

3. მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ -„ნ“ ქვეპუნქტები:

„ზ) შენარჩუნება - ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ჯიშის იდენტურობის, დამახასიათებელი ნიშნების, გენეტიკური მრავალფეროვნებისა და პოპულაციის სტრუქტურის შენარჩუნებას თაობებში;

თ) ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიში – ერთი კულტურის ფარგლებში ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთი ან რამდენიმე სახეობის პოპულაციების ან კლონების ერთობლიობა, რომელიც ტრადიციულად ერთ ადგილობრივ აგროპოპულაციას წარმოადგენდა;

ი) კონსერვაცია - გენეტიკური მასალის კონსერვაცია მის ბუნებრივ გარემოში, ხოლო კულტივირებული მცენარეთა სახეობების შემთხვევაში, მათი კულტივირების გარემოში, სადაც განუვითარდათ მათთვის დამახასიათებელი თვისებები;

კ) კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიში - ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიშების პოპულაციები და ჯიშები, რომლებიც ბუნებრივად არიან ადაპტირებული ადგილობრივ და რეგიონულ პირობებთან და გენეტიკური ეროზიის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან;

ლ) კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიში - ჯიში, რომელიც გამოყვანილია კონკრეტულ აგროტექნიკურ, კლიმატურ ან ნიადაგურ პირობებში მოსაყვანად, მაგრამ არ გააჩნია კომერციული წარმოებისთვის არსებითი ღირებულება;

მ) გენეტიკური ეროზია - დროთა განმავლობაში, გენეტიკური მრავალფეროვნების დაკარგვა ერთი და იმავე სახეობის პოპულაციებსა და ჯიშებს შორის, ან მათ შიგნით, ან გენეტიკური ბაზისის შემცირება ადამიანის ჩარევის ან გარემოს ცვლილების შედეგად.“.

ნ) არაოფიციალური გამოცდა – ჯიშის ეროვნულ კატალოგში შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად ჩატარებული გამოცდა, რომლის შედეგების სანდოობას, შესაბამისობასა და გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისობას აფასებს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო.“.

4. მე-4 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ - კ“ ქვეპუნქტები:

„თ) ეროვნულ კატალოგში შეტანის მიზნით:

თ.ა) კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის განსხვავებულობისა და სტაბილურობის შეფასებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს სულ მცირე CPVO საგამოცდო პროტოკოლების ტექნიკური კითხვარები და დაკმაყოფილებული უნდა იქნეს „ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №587 დადგენილების დანართი №1-ის მოთხოვნები;

თ.ბ) კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშს არ უნდა გააჩნდეს კომერციული წარმოებისათვის არსებითი ღირებულება, გამოყვანილი უნდა იყოს კონკრეტულ

აგროტექნიკურ, კლიმატურ ან ნიადაგურ პირობებში მოსაყვანად. კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშის ერთგვარვნების შეფასებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს UPOV საგამოცდო მითითებების ტექნიკური კითხვარების მახასიათებლები და დაკმაყოფილებული უნდა იქნეს „ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №587 დადგენილების დანართი №2-ის მოთხოვნები;

ი) კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის სერტიფიცირებული თესლის ან კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის სტანდარტული თესლად აღიარებული ჯიშის თესლი ეროვნულ კატალოგში შეიტანება, როგორც კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიში, რომლის თესლი ექვემდებარება სერტიფიცირების ორგანოს მიერ სერტიფიცირებას და საკონტროლო გამოცდის ჩატარებას „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №337 დადგენილების შესაბამისად;

კ) ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების ჯიში, რომლის თესლი აღიარებულია, როგორც კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის სტანდარტული თესლი, ეროვნულ კატალოგში შეტანილი უნდა იქნეს, როგორც კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიში, რომლის თესლი ექვემდებარება სერტიფიცირების ორგანოს მიერ აღიარებას.“;

ბ) მე-7 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) როდესაც კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიში და კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიში:

ზ.ა) რეგისტრირებულია ეროვნულ კატალოგში, კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის სტატუსისაგან განსხვავებული სტატუსით ან ამოღებულია ეროვნული კატალოგიდან ბოლო ორი წლის განმავლობაში;

ზ.ბ) ჯიში წარმოადგენს სამართლებრივად დაცულ ჯიშს ან ჯიშზე სელექციონერის განსაკუთრებული უფლების მინიჭების შესახებ განაცხადი განხილვის პროცესშია.“.

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 და მე- 13 პუნქტები:

„12. ჯიშის კონსერვაციისათვის განკუთვნილ ჯიშად და კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილ ჯიშად აღიარებისათვის და მათი ეროვნულ კატალოგში შესატანად გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისად მიიჩნევა:

ა) ჯიშის აღწერილობა;

ბ) ჯიშის დასახელება (ჯიშს შეიძლება მიენიჭოს ერთზე მეტი დასახელება თუ ეს დასახელებები ისტორიულად ცნობილია);

გ) ჯიშის არაოფიციალური გამოცდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და შედეგები ჯიშის არაოფიციალური გამოცდის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მომზადებული;

დ) განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ჯიშის მოყვანის, გამრავლებისა და გამოყენების შედეგად პრაქტიკული გამოცდილებიდან დაგროვილი ცოდნა.

13. კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის ეროვნულ კატალოგში შეტანისას უნდა განისაზღვროს რეგიონი ან რეგიონები, სადაც ეს ჯიში ისტორიულად მოჰყავდათ და რომელთა გარემო პირობებთანაც იგი ბუნებრივად არის ადაპტირებული (შემდგომში - „წარმოშობის რეგიონი“) და კონსევაციისთვის განკუთვნილი ჯიში შენარჩუნებული უნდა იქნეს მისი წარმოშობის რეგიონში. დარეგისტრირებულ ჯიშების სტატუსის შეცვლა და ხელახალი რეგისტრაცია მოხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდება 2027 წლის 30 სექტემბრიდან.

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების ეროვნული კატალოგი და ეროვნული კატალოგის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 დეკემბრის N 2-1038 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს „საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების ეროვნული კატალოგი და ეროვნული კატალოგის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 დეკემბრის 2-1038 ბრძანებაში ცვლილების შეტანას.

პროექტის მომზადება განპირობებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. შეთანხმების XI-B დანართი, რომელიც შესწორებულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2023 წლის 6 მარტის №1/2023 გადაწყვეტილებით, შეიცავს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომლებთანაც უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის აპროქსიმაცია (SPS საკანონმდებლო ნუსხა) დაახლოების ვადების მითითებით. მათ შორის არის: ევროკომისიის 2008 წლის 20 ივნისის 2008/62/EC დირექტივა, რომელიც ითვალისწინებს საგამონაკლისო წესებს ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიშების, ასევე იმ ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მათი თესლის და სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსებისათვის, რომლებიც ადაპტირებული არიან

ადგილობრივ და რეგიონულ გარემო პირობებთან და იმყოფებიან განეტიკური ეროზიის საფრთხის ქვეშ (COMMISSION DIRECTIVE 2008/62/EC of 20 June 2008 providing for certain derogations for acceptance of agricultural landraces and varieties which are naturally adapted to the local and regional conditions and threatened by genetic erosion and for marketing of seed and seed potatoes of those landraces and varieties), კომისიის 2009 წლის 26 ნოემბრის N2009/145 დირექტივა, რომელიც ადგენს გარკვეულ გამონაკლისებს, რათა შესაძლებელი იყოს იმ ბოსტნეულის ლანდრასებისა და ჯიშების მიღება, რომლებიც ტრადიციულად იზრდებოდა კონკრეტულ ადგილებსა და რეგიონებში და გენეტიკური ეროზიის საფრთხის წინაშე დგას, აგრეთვე იმ ბოსტნეულის ჯიშების, რომლებსაც არ გააჩნიათ კომერციული მნიშვნელობა ფართომასშტაბიანი წარმოებისთვის, მაგრამ შექმნილია განსაკუთრებულ პირობებში მოსაყვანად, და ამ ლანდრასებისა და ჯიშების თესლის ბაზარზე განთავსება (COMMISSION DIRECTIVE 2009/145/EC of 26 November 2009 providing for certain derogations, for acceptance of vegetable landraces and varieties which have been traditionally grown in particular localities and regions and are threatened by genetic erosion and of vegetable varieties with no intrinsic value for commercial crop production but developed for growing under particular conditions and for marketing of seed of those landraces and varieties) საფუძველზე, რომელთა თანახმად:

პირველი მუხლის მე-2 პუნქტს დაემატა „დ - თ," ქვეპუნქტები, რომლითაც განისაზღვრა გენეტიკური ეროზიის საფრთხის ქვეშ მყოფი ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიშები, რომლებიც ეროვნულ კატალოგში აღნიშნული უნდა იქნეს, როგორც „კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშები". ასევე იმ პირის ან პირთა რეგისტრაციის საკითხი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ქვეყანის ტერიტორიაზე გამოყვანილი/მიღებული ჯიშების შენარჩნებაზე. თუ ჯიშის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელია რამდენიმე პირი, მათი შეტანა ეროვნულ კატალოგში სავალდებულო არ არის. ასეთ შემთხვევაში, ეროვნულ კატალოგში მითითებული უნდა იყოს ჯიშის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი პირების სიის მფლობელი ორგანო; ეროვნულ კატალოგში მითითებული უნდა იყოს კულტურული ჯიშის თესლის ან გასამრავლებელი მასალის სახელწოდება თუ ის ბაზარზე განთავსებულია საყოველთაოდ აღიარებული სახელწოდებისაგან განსხვავებული სახელით; კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიში არ უნდა იქნეს შეტანილი ეროვნულ კატალოგში თუ ის უკვე შეტანილია, როგორც ჯიში, რომელიც არ არის კონსერვაციისთვის განკუთვნილი.

პირველ მუხლს დაემატა მე-4 პუნქტი, რომელშიც განისაზღვრა ეროვნულ კატალოგში „კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის" რეგისტრაციის პირობა.

მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატა „ზ" - „მ" ქვეპუნქტები, რომლის შესაბამისად განისაზღვრა ტერმინები: შენარჩუნება; ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიში; კონსერვაცია; კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიში; კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიში და გენეტიკური ეროზია.

მე-4 მუხლის: მე-3 პუნქტს დაემატა „თ - კ" ქვეპუნქტები, რომლითაც განისაზღვრა, რომ ეროვნულ კატალოგში ჯიშის შეტანისას, ჯიშის განსხვავებულობისა და სტაბილურობის შეფასებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს სულ მცირე CPVO საგამოცდო პროტოკოლების ტექნიკური კითხვარების ან UPOV საგამოცდო მითითებების ტექნიკური კითხვარების მახასიათებლები.

მე-7 პუნქტს დაემატა „ზ" ქვეპუნქტი, რომელშიც განისაზღვრა თუ რა შემთხვევაში არ მიღება „კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიში" და „კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიში" ეროვნულ კატალოგში შესატანად.

პროექტის შესაბამისად, მე-4 მუხლს დაემატა მე-12 და მე-13 პუნქტებში და განისაზღვრა თუ რა ინფორმაციის საფუძველზე უნდა მოხდეს ჯიშის „კონსერვაციისათვის განკუთვნილ ჯიშად” და „კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილ” ჯიშად აღიარება და მათი ეროვნულ კატალოგში შესატანად გადაწყვეტილების მიღება.

ასევე, განისაზღვრა რომ ჯიშის “კონსერვაციისათვის განკუთვნილ ჯიშად” და “კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილ” ჯიშად აღიარებისათვის და მათი ეროვნულ კატალოგში შესატანად გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისად მიიჩნევა: ჯიშის აღწერილობა, ჯიშის დასახელება - ჯიშს შეიძლება მიენიჭოს ერთზე მეტი დასახელება თუ ეს დასახელებები ისტორიულად ცნობილია; ჯიშის არაოფიციალური გამოცდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და შედეგები; ჯიშის მოყვანის, გამრავლებისა და გამოყენების შედეგად პრაქტიკული გამოცდილებიდან დაგროვილი ცოდნა, რომელიც წარმოდგენილია განმცხადებლის მიერ;

„კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის“ ეროვნულ კატალოგში შეტანისას უნდა განისაზღვროს რეგიონი ან რეგიონები, სადაც ეს ჯიში ისტორიულად მოჰყავდათ და რომელთა გარემო პირობებთანაც იგი ბუნებრივად არის ადაპტირებული (შემდგომში - „წარმოშობის რეგიონი“) და „კონსევაციისთვის განკუთვნილი ჯიში“ შენარჩუნებული უნდა იქნეს მისი წარმოშობის რეგიონში.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტი მომზადებულია ევროკომისიის 2008 წლის 20 ივნისის 2008/62/EC და კომისიის 2009 წლის 26 ნოემბრის N2009/145 დირექტივების შესაბამისად.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღების შედეგად, მოხდება საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების ეროვნული კატალოგის და ეროვნული კატალოგის წარმოების წესის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება 2027 წლის 30 სექტემბრიდან.

ამასთან, ზემოაღნიშნული XI-B დანართის მიზნებისთვის, მითითებული ვადები უკავშირდება კანონმდებლობის დამტკიცებას (დაახლოვება), ხოლო მისი ამოქმედების (იმპლემენტაციის) საკითხი დამოკიდებულია ქვეყნის და კერძო სექტორის მზად ყოფნაზე. თავად შეთანხმების XI-A დანართი ახდენს აღნიშნული ტერმინების (დაახლოვება/იმპლემენტაცია) გამიჯვნას ერთმანეთისგან. კერძოდ, აღნიშნული დანართის მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ დაახლოვება გულისხმობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასაც და ის ვადები, რომლებიც მოცემულია XI-B დანართში უკავშირდება კანონმდებლობის იმპლემენტაციას, გაურკვეველია ამავე შეთანხმების ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის სამართლებრივი დატვირთვა (დაახლოვებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული SPS ქვეკომიტეტის შეხვედრებზე, რომლის ფარგლებშიც საქართველო ახდენს ევროკომისიისთვის ანგარიშის წარდგენას კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით, ყოველთვის ვაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როდის მოხდება დაახლოვებული კანონმდებლობის ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ადასტურებდა საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, კანონმდებლობის დაახლოვება SPS სფეროში იყო ერთ-ერთი საფუძველი საბიუჯეტო დახმარებისთვის, დღემდე ამ კომპონენტის შეუსრულებლობის გამო რაიმე შეფერხება არ ყოფილა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ თავად ევროკავშირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების დამტკიცების შემდეგ ხდება გარდამავალი პერიოდის დაწესება, რათა კერძო სექტორმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მოასწრონ მომზადება ახალი მოთხოვნების შესრულებისთვის.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.